მეთაურთან, რომელიც ადრე მამას კარგად იცნობდა, და დახმარება ვთხოვე. დაბპირდა, ბერიას დაველაპარაკებიო. რამდენიმე დღის შემდეგ დამირეკა და თავისთან დამიბარა. არ ვიცი რატომ, მაგრამ იმედი-ანად მივდიოდი, უაზროდ მჯეროდა, რომ რაღაც სასიკეთო იქნებოდა. მაგრამ მეთაურმა შემატყობინა, ბერია ცივ უაზრეა, ასე უთქვამს, როგორ შეგიძლია წარმოიდგინო, კომუნისტების მტრის ქალიშვილს მამასთან ჩასვლის უფლებას მივცემო? ის უნდა დაისაჯოს. გადავწყვიტე არ მივანიჭო ქალიშვილის ნახვით გამოწვეული სიხარულიო. ბოლოს მეთაურმა მითხვა, ძალზე ვწუხვარ, მაგრამ მეტი არაფერი შემიძლიაო. ისე მოხდა, რომ ბესიკი გერმანიაში აპირებდა წასვლას მოსკოვის გავლით, და დამპირდა, ჩემს შესახებ ენუქიძეს მოსკოვში დაელაპარაკებოდა. გავიდა რამდენიმე თვე. ამასობაში ბიბლიოთეკაში დავწყე მუშაობა, საქმე გამიჩნდა, პენსიასაც ვიღებდი, მაგრამ მარტოსულობისა და მწუხარების განცდა უზიმოდ მტანვავდა. ისიც მესმოდა, დარდს არ უნდა დავეთრგული, რათა ქვეყნიდან წასვლა უსათუოდ შეგძლებოდა. ველოდი, ველოდი სასწაულს. ერთ დღეს მოსკოვიდან ბესიკის წერილი მივიღე. მწერდა, ენუქიძეს ველაპარაკე და ასე მითხვა, სანამ რაიმეს მოვაგვარებ, უსათუოდ თვითონვე უნდა ვნახო. ბესიკი მირჩვადა როგორმე მომეხერხებინა ენუქიძესთან შეხვედრა. :

ମାରିତଳ୍ଲାଙ୍କ, ଗିନୋରଗୁ ନୀକୁଳାଦୀଳ ଜ୍ଵରିଗୁସ୍ତ
ମହେକୁଣ୍ଠି ଗାପାରଙ୍ଗା ମର୍ମୁଖେର୍ମୁଖେବିା, ମେରେ
ରନ୍ଗୋରଲ୍ଲାଙ୍କ ଅବେଲ୍ ବ୍ରନ୍ଜିକିଏ ଉନାବୀଶ୍ଵର, ରନ୍ମେ-
ଲ୍ଲିଙ୍କ ଉନ୍ଧବାରନ୍ଦ୍ର ଇଶ୍ଵରାତାଦ ତୁ ରାମ୍ଭେ ଗା-
କ୍ଷେତ୍ରେବିଦ୍ଧା, ଲ୍ଲା, କାତ୍ରମା ଅର ନୀତିବିଳ, ରିଲ୍ ଫ୍ରାଶାଦ,
ଏବଂ ଡାକ୍ତରାର୍କେବିା ସାକ୍ଷରତା କାପିରିଦାନ ଗା-
ଲ୍ଲାଶି. ଟୁମ୍ପା 1934 ନେଇସ ମିମାଵ୍ୟ ତଥ୍ବବିନିତ
ମାସତାନ ମିଲ୍ଲେ ଚାନ୍ଦିବିଲ ମିନ୍ଦରାଲ ମିନ୍ଦାଲ୍
ଦୁଲ୍ଲଗବ୍ରାମ୍ବେ ଅରାତ୍ରୀ ଉନାରୀ ଉତ୍ସବା, ଯୁଵେଲ୍-
ଭେରି ଇଲନା, ରନ୍ମ ଦୁଲ୍ଲଗବ୍ରାମ୍ବେଶ୍ଵରି ସାହିଲ-
ବାରଗାରେତ ଗାସିଲ୍ଲା ଆକ୍ରମିକାଲାତ ତାରତିକିଲ୍
ଆନ୍ତରିକାଲ୍ଲୁର କମିଟିକ୍ରମିଶିଲ୍ଲିପ୍, ଲାଦାତ୍ର ତାବା-
ଦ୍ଵୟ ଶୁରିବା ଅଥ ତଥ୍ବବିନିତ ନୀଶବ୍ଲା. ମାଥିନ ବ୍ରନ୍ଜି-
କିଏ ସାକ୍ଷରତା କାମିରିକି ପ୍ରାକିଳ ମଦିକିବନ୍-
ଦାସତାନ ହରତାଦ ତେବାତ୍ରିରେବିଳ ଥେଦାମଥେଦ୍ଵୟ-
ଲ୍ଲି ସାମତାବରନ୍ଦିବ କମିଲେଶ୍ଵର ବ୍ୟେକନ୍-
ଲ୍ଲିନ୍ଦାଶାତ୍ ବିତାବ୍ସେବିଦା. ଦୁଲ୍ଲଗବ୍ରାମ୍ବେମା ମାସ
„ସାମାଗ୍ରୀର୍ମା“ ମିଠିତ ଗାଦାଯୁଦ୍ଧାଦା, ରନ୍ମ ତାଵିଲ୍
„ସତ୍ରାତ୍ମିକା ଦା ମାରଗାରିତ୍ମାଶି“ ମହେକୁଣ୍ଠିଲ୍
ତେବାତ୍ରିରେବିଳ ଆକ୍ଷୁଶତ୍ରୁଗୁରୁ କମିଲେଶ୍ଵର ତାଵିଜ୍-
ଦିନମାରିବ ଅରକାଣ୍ଟ ଶ୍ରେମିଲ୍ଲେଇରାରନ୍ମିଲ୍
କାତ୍ରିଜୁର୍ରୁଲ୍ଲି କେରଲନାଶ୍ଵର ପରିତ୍ରିକାଦ
ଗମନ୍ୟେବନା. ରନ୍ମାନିଲ୍ ପିଲିଲାଗିଫଳନ ବିଗ୍ରହକ,
ରନ୍ମ ଅଶ୍ଵନାବି ଶ୍ରେମିଲ୍ଲେଇରାରନ୍ମିଲ୍
ମଶାଶିନ୍ଦ୍ରବ୍ୟତାନ ଗାୟତାବ୍ୟଦ୍ଵେଲି ଫଲିରତ୍ତିଲା
ଦା ଉତ୍ତାବ୍ୟତାନିଲ୍ ରନ୍ମାନିଶ୍ଵରିଲ୍ ଗାମନ ତାନାମଦ୍ରେ-
ବ୍ୟତିକିରଣାଦ ଗାତାବ୍ୟତିଶ୍ଵରିଲ୍ ଉତ୍ତାବ୍ୟତାନିଲ୍
ଦା ଅଶ୍ଵାଦ୍ଵେଲି ପ୍ରବ୍ରନ୍ଦିଲ୍ ଉତ୍ତାବ୍ୟତାନିଲ୍ ଦାନିଶ୍ଵରିଲ୍
ଦରିବାନ୍ତିକିଲ୍.



აბელ ერუქიძე,
სტალინი და მაქსიმ გორკი
მავზოლეუმის პორტფორტე
(1930-იანი წლების დასაწყისი)

პაატა ნაცვლიშვილი

ଓରଣ୍ୟାତିକା

დოკუმენტური რომანის ჩანაფიქრი ხუთ წიგნად

მაგრამ რომანის პერსონაჟის ბედი რა მოსატანია აბელ ენუქიძის ამბავთან: 1935 წლის 3 მარტს, ეგრეთ წოდებული „კრემლის საქმის“ ძიების პროცესში, ენუქიძე პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნების ბრალდებით საკავშირო ცაკის მდივნობიდან გაათავისუთლეს და ამიერკავკასიის ცაკის ხე, ციხეში სხედან, მათი შვილები შიმშლობენ, დაფიქრდი, რას იტყვის მსოფლიომ. მსოფლიომ რა თქვა ყველამ იცის სტალინი კი დაფიქრებულა და ძველი მგობრისთვის უთქვამს, დაიხსომე, აბელ ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემ ნინააღმდეგა აა!

მიერვე კიროვის მკვლელობის დღეს კალინინის გარეშე ხელმოწერილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედ- სხვათა შორის, აბელ ენუქიძე სტალინის მეორე ცოლის, ნადეჯდა ალილუევა ნათლია იყო.

ვით, რომელიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობათა გამოძიების დაჩქარებას, დამნაშავეთა დაცვის გარეშე გასამართლებას და განაჩენის დაუყოვნებლივ აღსრულებას ითვალისწინებდა. თუმცა ენუქიძემ, როგორც ჩანს, ვოროშილოვისა და ორჯონიქიძის დახმარებით, იმ ჯერზე როგორდაც თავიდან აიცილა სასჯელი, ის კი არა, 1936 წლის ივნისში პარტიაშიც აღადგინეს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე თვით. აბელიძითავით გვერს ლაპარაკობდნენ ასე ელ ენუქიძის სექსუალურ დევიაციაზე მისი სასამართლო პროცესის ერთგვარ პიკანტური თავისებურება ისიც იყო, რომ იგი ერთადერთია უმაღლესი რანგის საბჭოთა მოხელეთაგან, რომელიც მცირებულოვანი გოგონების სისტემატურ გახრმავაში დაადანაშაულეს. სტალინის ცოლი მმის ცოლს მარია კორონა-სვანიძეს თავი დღიურში 1935 წლის 28 ივნისს ჩაუწერია

ენუქიძე პირველი იყო, ვინც პარტიის XVII ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კო-მიტეტის შემადგენლობიდან გამოიყანეს. ამ ყრილობას, რომელიც მეხუთე იყო, რო-მელშიც აბელ ენუქიძე ცეკას შემადგენლო-ბაში შევიდა, მოგვიანებით „დახვრეტილ-თა ყრილობა“ უწოდეს. ენუქიძეს ბრალი ედებოდა სამშობლოს ღალატსა და შპო-ნაჟში, აგრეთვე უდანოვზე თავდასხმის მომზადებასა და სამხედრო-ფაშისტური შეთქმულებისას ტუხაჩევსკის თანამზრახ-

: აბელი ისეთ თანამდებობაზე იყო, რო-რევოლუციის შემდეგ 17 წლის განმავლო-ბაში კოლოსალურ გავლენას ახდენდა ჩე-ენს ყოფაზე. თავად გარეუნილი და ვნე-ასაყოლილი, თავის ირგვლივ ყველაფერ ბილნავდა. სიამოვნებას ანიჭებდა მაჭან-ლობა, ოჯახური უთანხმოებანი და გოგო ების ცდუნება. ხელთ ჰქონდა რა სხვათ თვის მიუწვდომელი ცხოვრების ყველ-სიკეთე, განსაკუთრებით რევოლუციის შე-მდეგ პირველ წლებში, ამ ყველაფერს პ

ველობაში.
არადა, მანამდე ისეთ სიმაღლეზე იყო, ლენინგრადის აღმოსავლეთის ინტეტიუტსა და გორკის საავიაციო ქარხანაზე რომ არაფერი ვთქვათ, მის მშობლიურ ამბროლაურს — ქალაქსა თუ რაიონს — ენუქიდე ერქვა!

რადი ბინძური მიზნებისთვის იყენებდ ყიდულობდა ქალებსა და გოგოებს. მიმა იმს ამაზე საუბარი და წერა. იყო ეროვნული ალად არანორმალური და აშკარად არა ას პროცენტიანი მამაკაცი. ყოველწლიურა გადადიოდა უფრო და უფრო ნორჩებზე დოლოს 9-11 წლის გოგოებს მისწვდა. აფუ

სტალინის სიყმანვილის მეგობარი, ძეველი კომუნისტი აბელ ენუქიძე 1937 წლის 30 ოქტომბერს დახვრიტეს ოთხეულის — სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვისა და კაგანოვიჩის თანხმობით.

გამომძიებლებისთვის ენუქიძეს მისი სტალინთან კონფლიქტის ნამდვილი მზეზზიც უთქვამს. მთელი ჩემი დანაშაული იმ-აში მდგომარეობს, რომ შევეცადე, სტალინისთვის კამენევისა და ზინოვიევის დახმარება მათ თუ ფიზიკურად არა — ზნეობრივად. ეს არის საფუძველი ყველა იმ საზიზღრობისა, რაც მის ირგვლივ ხდებოდა და. ქალები, ვისაც ასაკით შესაფერისი ქლიშვილები ჰყავდათ, ყველა სიკეთეს ეუფლებოდნენ. არასაჭირო გოგოებს სხვ მამაკაცებს ატენიდნენ, მორალურად უფრო არამდგრადებს. პერსონალი მასთა მხოლოდ აბელის მოსახლეობი სქესბრიუნი ნიშნით იყო დაკომპლექტებული. თავისი

ისისაც ეკავება და ისისაც ეკავება და ვრეტა გადამეფიქტებინებინაო. ასე ვუთხაროთ, — კი, სოსო, ცუდად მოგვექცნენ, მაგრამ ისინი ძველი ბოლშვიკები არიან და მათ სისხლს ხუდალვრი, აკი ისედაც მიეზღათ თავისი — პარტიიდანაც გარიც- ისისაც უნდა გადამდებული ისა. ამა გარყვნილების გასამართლებლად, აბელ მზად იყო, ყველანაირი სიბილნე წაეხალისებონა. :
მარია სვანიძეს 1942 წლის 3 მარტს თავისი ქმრისა ანტისაბჭოთა საქმიანობის და

ფარვისა და საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის მიმართ ტერორისტული განზრახვისათვის სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯეს და იმავე დღეს დახვრიტეს.

თითქოს მარია სვანიძის მოგონების ეს ფრაგმენტი ჰქონდა წაკითხული მიხაილ ბუღაკოვს, როცა „ოსტატიკა და მარგარიტაში“ ენუქიძის თვისებებით იმ თავის მეორებარისხოვან პერსონაჟს „აჯილდოებდა“.

უორუეტა და მაბაშიძე თავის მოგონებებ-ში საკმაოდ დეტალურად აღწერს მოსკოვ-ში მისი ყოფნისა და შემდეგ საფრანგეთში დაპრუნების პერიოდების:

: პატარა ჩემოდანში დედის ნახატი — კავკასიონის ქედის პანორამა, გიორგის ნა-
წერა საკუთრივი და მარტინ და მარტინ ბერძნების სა-
ხელობა.

ჩუქარი ფოტოაპარატი, მთებში ჩვენი ექსპედიციის ამსახველი ალბომი ჩავდე და გიორგის დასთან ერთად მოსკოვს გავემგზავრე. წითელ მოედანზე სასტუმრო „გრანდ ოტელში“ გავჩერდით. გვითხრეს, მხოლოდ სამი დღე შეგიძლიათ აქ დარჩენაო. მოულოდნელად გიორგის და გაცივდა, ძლიერ ავად გახდა და კრემლის საავადმყოფოში დააწინეს. მთელი დღე საავადმყოფოში გავატარე. უნდა მომეფიქრებინა, რა საშუალებით დავკავშირებოდი ენუქიძეს. დრო არ ითმენდა სასტუმროში კიდევ ორ დღეს შემეძლო გაჩერება. მოსკოვის ქუჩებში ძალზე ციონდა, გადავწყვიტე, ქურქი მეყიდა, მაგრამ საბჭოოთის მოქალაქეს ახალი ქურქის ყიდვის უფლება არ ჰქონდა — მხოლოდ უცხოელებს შეეძლოთ მისი ყიდვა. წავედი მეორადი მოხმარების მაღაზიაში და ასტრახანის ქურქი შევიძინე. როგორც იქნა გავთბი. ქუჩაში დავდიოდი და ვფიქრობდი, რა გზას დავდგომოდი, როგორ მომებრებინა ენუქიძესთან შეხვედრა. სიარულისა და ფიქრისაგან ქანცგანყვეტილი სასტუმროში მივედი, ოთახში დავჯერი და ფიქრი განვაგრძე. უცხო ქალაქში ვიყავი, უცხო ხალხით გარემოცული, გიორგის და კვლავ ძლიერ ავად იყო. სასადილო ოთახში ჩავედი. მოულოდნელად

Յորդգիտակ է այս մոտենական պատճենները, որում պահպանված է առաջնահատ պատճենը՝ անտառապատճենը, որը պահպանված է առաջնահատ պատճենների պահպանության մեջ:

გადავწყვიტე ენუქიძისთვის დამერეკა. ვიცოდი მისი ტელეფონის ნომერი. იქნებ მარტო იყო ასე გვიან ღამე და ბედად, თვითონვე უპასუხა ტელეფონის ზარს! დავრეკე და სწორედ მან აიღო ყურმილი. ვუთხარი, ვინც ვიყავი, ვკითხე, მისი ნახევათუ შეიძლებოდა. გაგონილი მქონდა მისი სიკეთის ამბავი, უამრავი ქართველი ჰყავდა დახვრეტასა და გადასახლებას გადარჩენილი. გაიგო თუ არა, ვინ ვიყავი, მითხრა, უსათუოდ [მი]გიღებ ხვალ, დილის თერთმეტ საათზე. ვიცოდი, რადგან რთული გახლდათ კრემლის შენობაში, რომელიც რამდენიმე წელი კედლით იყო გარშემორტყმული, შეღწევა, და კითხე, როგორ შევძლებ-მეოქი. „ნუ სწუხართ“, — მითხრა, „მოვაგვარებ, რომ ყველგან თავისუფლად გამოიაროთ“. ისიც მითხრა, გიორგის გარდაცვალებამ ძალზე დამამზუხრა და გულითადად გითანაგრძნობო. მამაჩემსაც იცნობდა და მისი ამბებიც გამომკითხა. ჩვენს შორის მეგობრული განწყობილება დამყარდა. შვებით ამოვისუნთქე და იმედით აღვიგსე. რალა თქმა უნდა, იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. :

ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნ-
ებოდა ის მოსკოვური ღამე ჟორჟეტა ლამ-
ბაშიძისათვის.

: მეორე დილას კრემლისკენ გავეშურე-
ყველა ჭაშპარა ლია დამხვდა. შენობაში
შევედი, კიბეზე ავედი და გავიხედ-გამოვ-
იხედე. არავინ ჩანდა, რომ მეყითხა, სად
იყო ენუქიძის კაბინეტი. ერთ კარს მივად-

ექი, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა „სხა-ალინი“, შემდეგ კარს — „ენუქიძე“. ამ ოთახში შევედი. ვეებერთელა ოთახი იყო კედლებთან ჩამორიგებული სკამებით, სკამებზე ხალხი მდუმარედ იჯდა. ოთახის შუაგულში ორი მაგიდა იდგა, რომელსაც ორი მდივანი ქალი მიჯდომოდა. სკამზე დავვჯექი და ლოდინი დავიწყე. მანამდე მდივან-ქალთან მივედი, გუთხარი ჩემი გვარი და ისიც, რომ თერთმეტ საათზე ვიყავი დაბარებული. ორიოდე ნუთის შემდეგ ოთახში მალალი კაცი შემოვიდა. ეს ენუქიძე გახლდათ. მაშინვე ვიცანი, რადგან ბევრ-ჯერ მინახავს მისი ფოტო საჯარო შენობებში, საფოსტო განყოფილებებში, რკინიგზის სადგურებში. მდივან-ქალთან მივიდა, რაღაც უთხრა და კაბინეტში შევიდა. გავიფიქრე, ალბათ დიდხანს მომინდება ლოდინი-მეთქი, რადგან ოთახი სავსე იყო ხალხით. ყველას მასთან უნდოდა შეხვედრა. გამიკვირდა, როდესაც მდივანი-ქალი ჩემთან მოვიდა და მითხრა, კაბინეტში შევსულიყავი. იქ რომ შევედი, ენუქიძე წამოდგა, ხელი ჩამომართვა, მხარზე ხელი დამალო და მეითხა, რა შემიძლია თქვენთვისო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასთან საუბარს, ბევრი რამ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მივარვდიდი ჩემს ნაფიქრალს. ვუთხარი, რომ გიორგის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში დარჩენამ ჩემთვის აზრი დაჰკარგა, რომ ჩემი მშობლების ნახვა მინდოდა, რომ ბერიამ უარი თქვა ჩემს გაშვებაზე და ახლა ერთადერთი იმედი ისლაა, მომცემს თუ არა ქვეყნიდან ნასვლის საშუალებას. ყურადღებით მისმენდა, მეითხა, რამდენი წლის ხარო, როცა ვუპასუხე, ოცდაშეიდის-მეთქი, გაიღიმა და მითხრა: „თქვენ ხომ ბავშვი აღარა ხართ, რატომ გინდათ მშობლებთან ნასვლა? თქვენნაირი ხალხი, ფრანგულად და ინგლისურად მოლაპარაკე, ჩვენ აქ გვთქირდება. დიდი სიამოვნებით დაგნიშნავდით აქ, კრემლში, ჩემს მდივნად. საზღვარგარეთ სამსახურის ძებნას დაიწყებთ, იქ კი უმუშევრობა გამეფებული, პენსიასაც დაჰკარგავთ. არა გონიათ, რომ უაზრობაა აქედან თქვენი წასვლის სურვილი? თქვენს მშობლებს მისწერეთ რაც გინდათ, წერილს დიპლომატიური ფოსტით გავგზავნი, ვერავინ წაიკითხავს. შეეცადეთ, დაარწმუნოთ მამათქვენი, რომ დაბრუნდეს საბჭოთა კავშირში. ჯერჯერობით საქართველოში კი არა, აქ, ჯანმრთელობის სამინისტროში ძალზე საინტერესო სამუშაოს მიიღებს და ყველანი, ფინანსურად უზრუნველყოფილი, საუკეთესო პირობებში იცხოვრებთ“. ამაზე ვუპასუხე, უძლიერი იქნება, მამა პირადად ვნახონ და მოვახსენო ეს ყოველივე, ამასთან დავარწმუნო, რომ ღირს დაბრუნდება-მეთქი (რა თქმა უნდა ეს იმიტომ ვთქვი, რომ ქვეყნიდან წასვლის საშუალება ხელიდან არ გამეშვა). ჩვენი საუბარი იმაზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე ვევრაუდობდა. არსა-დაც არ გამიშვებენ, გავიფიქრე, უცემ მითხრა: „კეთილი, რაკი ასე მტკიცედ გადაგინეცეტით, გაგიშვებთ, იყოს ნება თქვენი, ღლონდ უნდა შემპირდეთ, რომ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდებით, თქვენი პასპორტი ერთნლიანი იქნება“. მე ვუპასუხე, რასაკვირველია, გიდასტურებთ, რომ უკველად დაგვბრუნდები-მეთქი (მეორედ ვიცრუე). ყურმილი აილო, საგარეო საქმეთა მინისტრს, ბ-ნ კარახანს დაურეკა და უთხრა, დილისტვის ჩემს სახელზე პასპორტი გაემზადებინა. გულზე მომეშვა, თავი სიზმარში მეგონა, ვერ ვიჯერებდი. წერილი დაწერა ბერლინში ვიღაცისთვის გადასაცემად, ვინც 200 დოლარს მომცემდა — იმის ეკვივალენტს, რასაც მე მის მდივან-ქალს დავუტოვებდი. მეორე დილით თავის მძღოლს გამომიგზავნიდა, რომელიც პასპორტს მომიტანდა, შემდეგ კი ვიზისთვის საჭირო ყველა საბუთი უნდა შემეგროვებინა. ეს ყოველივე ზღაპრად, დაუჯერებლად მეჩვენებოდა. იმ წუთებში ეს კაცი კომუნისტი კი არა ქრისტე-ლმერთი იყო ჩემთვის. უცემ გამახსენდა, რომ სასტუმროში ოთახი დილისთვის უნდა დამეცალა. „წუ იდარებთ“, დამამშვიდა, — „მე ვიზრუნებ, რომ არავინ შეგანუხოთ. ახლა წადით, დაწყნარდით, მთავარია, აღარ მოგიხდებათ აქედან საქართველოში დაბრუნება და მერე ბათუმში წასვლა. ზეგ პირდაპირ მოსკოვიდან გაემგზავრებით. ხვალინდელი დღე გეყოფათ ყველაფრის მოსაგვარებლად“. ხელი ჩამომართვა და მითხრა: „აუცილებლად დაბრუნდით, გახს

ოვდეთ ოქვენი დანაპირები. ოქვენს დაბრუნებას დაველოდები. ვიმედოვნებ, ოქვენი ოჯახიც დაბრუნდება. როგორც კი მაცნობებთ, მათვის ყველაფერს მოვაწყობ როგორც წესი და რიგია. როცა გენებოთ, მომწერეთ აქ, კრემლში, ოღონდ კონვერტს დააწერეთ „პერსონალური“.:

ასე იყოთ თუ ისე, ანგარიშით თუ უანგაროდ, უორუეტას საბჭოთა კავშირის დატოვების უფლება მიეცა:

: მაშ ასე, ყველაფერი მშვიდობიანად დასარულდა, მე მივდივარ საბჭოთა კავშირიდან! არ შეიძლებოდა ვინმესთვის ამის განდობა. სასტუმროში დაბრუნდი, სადილი დიპლომატიური კორპუსისთვის განკუთვინლ მაგიდასთან მომართვეს. როგორც ჩანს, ენუქიძეს უკვე დაერევა. მთელი დღე ჩემს აფორონაქებულ მდგომარეობას მწარე ნადველიც ახლდა — მტკივწეული განცდა, რომ ვეღარასდროს ვიზილავდი ჩემს საქართველოს, ჩემს საყვარელ მინანწყალს, სადაც (არსებული რეჟიმის მიუხედავად) გიორგისთან ერთად სამი უბედინერესი წელი გავატარე! მეორე დილით მოვიდა მანქანა. მოვიარე პოლონეთის, გერმანიის, ბელგიისა და საფრანგეთის საელჩოები. საბაჟოში ჩემოდინის მიტანა მომთხოვეს. იქ ჩემს მიერ გადალებული ფირები, დედის ნახატი, ექსპედიციების შემდეგ ჩემს მიერ ტექსტითა და ილუსტრაციებით შედგენილი გეოგრაფიული უურნალები ჩამომართვეს. ფოტოაპარატის წალებაც უნდოდათ, მაგრამ მცირეოდენი მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტეს, ჩემთვის დაეტოვებინათ. მე მათ გიორგის დის მისამართი დაუტოვე, თუკი დედის ნახატის გაგზავნას მოისურვებდნენ (მერე გავიგე, რომ ეს ნახატი გიორგის დამ მართლაც მიიღო და დედის ძალიან ახლობელ მეგობარ ქალს გადასცა, რომელმაც ჩაკეტა და სადღაც შეინახა. ნახატი დაზიანდა და იმ ქალმა მედეას მისწერა, საქართველოს მუზეუმში შევეცადე მისი აღდგენა, მაგრამ უკვე შეუძლებელი იყო). გიორგის დის უნახავად მოსკოვიდან ვერ წავიდოდი, იგი ჯერ კიდევ სუსტად იყო. გამგზავრების წინა დამეს საავადმყოფოში დავრეცე და ავადმყოფის მონახულების უფლება ვითხოვე. დამეთანხმენ, ყველაფერი მოვუყევი. აღტაცებული, გახარებული იყო ჩემი ამბის იღბლიანი დასასრულით. ძალზე სევდიანი გასხლდათ ჩევნი განშორება. დაბრუნებისას, სასტუმროს ჰოლში ერთ ქართველს გადავეყარე, კარგად ვიცნობდი, მკითხა, მოსკოვში რას აკეთებო. არ ვიცოდი, რა მეპასუხა, რაღაც უნდა შემეტხა. გიორგის დის გამოჯანმრთელებას ველოდები და მერე თბილისში დავბრუნდები-მეტქი. მოდი, ხვალ დილიდან მუზეუმის დათვალიერებას შეუძლებელი, შემომთავაზა. რა მექნა? ვუთხარი, ხვალ საავადმყოფოში უნდა წავიდე, ახლა კა ძალზე დალილი ვარ, მოსვენება მინდა-მეტქი. სხვა გზა არ მქონდა, სულიერად და ფიზიკურად ილაჯგანყვეტილი, მშენი ჩემს ნომერში ავედი. მოსვენებას არ მაძლევდა შიშნარევი ფიქრები, დავალნევ თუ არა ბოლოს და ბოლოს თავს მოსკოვს? მატარებელი სადგურიდან 9 საათზე უნდა გასულიყო, მე კი 8 საათზე უკვე იქ ვიყავი. როგორც აღმოჩნდა, ჩემთვის ადგილი „საერთაშორისო“ ვაგონში შეეკვეთათ. ზუსტად 9 საათზე მატარებელი დაიძრა. ველარავინ შემაჩირებდა, მატარებელი ბერლინისაკენ მიმაქანებდა! სასადილო ვაგონში წაცელა არ მინდოდა — ვათუ ვინმე ნაცნობს შევეფეთო-მეტქი, ვფიქრობდ. რამდენიმე საათიც და პოლონეთის საზღვარს მივადექით. მატარებელი თითქმის ცარიელი იყო. იმ დროს ტურისტები რუსეთში იშვიათად ჩადიოდნენ. ქვეყნიდან გასვლის უფლება მხოლოდ სამსახურებრივი მივლინებით ეძლეოდათ კომუნისტ საჯარო მოხელეებს. ვარშავაში მატარებელი ერთი საათით გაჩერდა. იქიდან გადმოვედი, მინდოდა შორიდან ქალაქისთვის თვალი შემევლო. თავისუფლებით ვტკბებოდი, თუმცა ზოგჯერ მაინც გავიფიქრებდი, ნუთუ საპოლოოდ დავიხსენი თავი საბჭოთა კავშირის მარწუხებიდან?! ბერლინში რომ ჩავედი, იმ კაცთან მივედი, რომელსაც 200 დოლარი უნდა მოეცა. ძალზე სასიამოვნო კაცი აღმოჩნდა, ფული მაშიევ მომცა, ბესი კი დააბარებიც გადმომცა — იმ ადგილას უნდა მივსულიყავი, სადაც ც ბერლინში მყოფი ყველა კომუნისტი იყრიდა თავს. სასტუმროს წააგვდა, დიდი სასადილო ოთახით, ბიბლიოთეკით, სადარბაზო ოთახებით. არ

ნერილი მომზერა. მთხოვდა, მის სანახავად მივსულიყავი. რომ მივედი, ორ ჩეკისტთან ერთად დამხვდა, თუმცა ქართულად ვლაპარაკობდით და, ჩემი აზრით, მათ არ ესმოდათ ჩვენი საუბრის შინაარსი. ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა. ჩვენი საუბრის დროს ვიღლაც შემოვიდა და ბეჭდებიანი კონვერტი გადასცა. გახსნა, მითხრა, სტალინისგან არისო. წერილი წითელი ფანჯრით ქართულად იყო დაწერილი. დავხედე, გამიჭირდა იმისი ალექსა, რომ საბჭოთა კავშირის ამჟამინდელი მბრძანებლისა და მის ფარგლებს გარეთ ყველაზე საძულველი კაცისგან იყო. თუმცა წერილი მეგობრული მეტვენა, რნმენას გამოოქამდა, რომ გერმანიაში მკურნალობა ენუქიდეს სასიკეთოდ წაადგებოდა და მას მალე იხილავდა (მაშინ ენუქიდესთან ერთად ფოტო მეტ გადამიღეს, მას ხელში წერილი ეჭირა). მივადექით ჩემი და ჩემი მშობლების დაბრუნების საკითხს. მამა ამის წინააღმდეგია და თან დარნმუნებული ვარ, ვერც ვერაფერი შეაცვლევინებს ამ აზრს-მეთქი. ვუთხარი ისიც, რომ ორ ცეცხლს შუა ვიყავი, რადგან წარმოუდგენლად მიმაჩნდა მშობლების დატოვება. თუმცა მოცემული პირობაც უნდა შემესრულებინა. როგორ მოვცეცულიყავი? ცოტა ხნით გაჩუმდა, მერე მთხოვა, მეორე დღეს, სენ-ჟერმენ დე პრეზე, რესტორანში წავყოლოდი მოსალაპარაკებლად. უარი ვერ ვუთხარი. ენუქიდეს ეს შემოთავაზება მამას დიდად არ გახარებია, მაგრამ ისეთი მადლიერი იყო მისი, მოსკოვიდან თავის დაღწევის საშუალება რომ მომცა, ვერ შეძლო ჩემთვის წასვლა დაეშალა. წავედი ენუქიდესთან შესახვედრად. ჩვენი სასადილო მაგიდა ტერასაზე იყო გაშლილი, ჩეკისტები აქეთ-იქით მხარს გვიმშვენებდნენ. სადილობს დროს ენუქიდემ მითხრა, პარიზში უნდა დარჩე და შეგატყობინებ, როდის დადგება შენი დაბრუნების დროო. ურუანტელმა დამიარა. მამ უნდა დავპირუნდე! როგორ უნდა წავიდეს ისევ უკან, იმ ქვეყანაში? მოულოდნელად ადგა და მითხრა, გარეთ გამომყევიო. მშვენიერი საღამო იყო, ბაღრი მთვარე ანათებდა, ტერასის ქვის ლობეზე გადავიხარეთ. „არ მინდოდა იმ ორი კაცის თანდასწრებით მეტქვა და რაკი ახლა ერთი-ორი წუთით მარტონი ვართ, უნდა გაგიმხილო, რომ მოსკოვში ბევრი რამ შეიცვალა ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ, ვიდრე მე თვითონ არ გირჩევთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდეთ და ადრე მოცემული პირობა წუდარ შეგანუხებთ“, — მითხრა ენუქიდემ. სიხარულით აღვიგსე, ვუთხარი, რომ უსახლვროდ მადლობელი ვიყავი ყველაფრისთვის, რაც ჩემი გულისთვის გააკეთა, რომ ვერასდროს შევძლებდი მისი სიკეთისთვის სამაგიროს გადახდას. გაიღიმა და მითხრა: „შეხედეთ ამ მთვარეს, ყოველი ახალი მოვარის გამოჩენისას გამიხსენერთ და ეს იქნება თქვენგან მოძღვნილი სამაგირო“. რა უნდა ეთქვა ამაზე მეტი, რომ სამუდამოდ დამხსომებოდა? ახლა 1978 წელია, 1933 წლიდან მოყოლებული ბადრი მთვარის დანახვისას ყოველთვის მახსენდება. მას მერე აღარას-დროს მინახავს, თუმცა გერმანიაში სამკურნალოდ ჩასვლისას გუდამ და წერილებს მიგზავნიდა. მშვენიერი წერილები იყო — ყვავილებზე, ხეებზე, წუხდა, თუ როგორ ვართმევდი თავს ფინანსურ სიძნელეებს ისეთ „კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორიც სატრანგეთია“.:



გაგრძელება მე-13 გვერდზე

— ძალიან მნიშვნელოვანია ხოლმე
თქვენი წიგნების წინათქმები, ისინი ერთ-
გვარი რეკომენდაციებია მკითხველის-
თვის. როგორ არჩევთ ხოლმე ასე ზუს-
ტად „მთქმელებს“?

— არასდროს მითხვია ვინმესთვის წინასიტყვაობის დაწერა. არც რედაქტორობა. წასაკითხადაც რომ მივცე წიგნი ვინმეს, არ შემიძლია. ვფიქრობ, თუ უნდა, იპოვის. ჩემი პიესით ვინმე რეჟისორს მივადგე, წაკითხვა ვთხოვო, მერე ვურეკო, ხომ წაიკითხა და მერე ველოდო, იქნებ რამე დაწეროს ან სულაც დადგას — ნარმოუდენებლია. ვისაც კი რაიმე უთქვას ჩემზე — თავისით მოსულა. უბრალოდ გამიმართლა, მოდიოდნენ ადამიანები, მოდიოდნენ და რჩებოდნენ. ყველა სიტყვა მახსოვს და მადლიერი ვარ.

— თქვენ იმდენი პროფესია გაქვთ, მანამ აზიზი მოსაწავლით სიარულით, თანამდებობის მიზნით, ისე რომ არ გამოიყენოთ მათ სამართლის მიზნების და მიზნების გარეშე.

დევ გ თა იე ბი ინჯუჯე სიაღმული, და აყე-
ბული მედიცინით, გაგრძელებული იური-
სტობით, საზოგადოებრივი მართვითა და
მენეჯმენტით, ხელოვნებათმცოდნეობ-
ით და ასე შემდეგ:

— მოუსვენარი ადამიანი ვარ. მიყვარს
სიახლე, ვიღებ სიახლეს, საკუთარი თავის
ამ სიახლეში მოსინჯვა მინდა. ალბათ ეს
არის მიზეზი. უცნაურია, რომ ჩემი ნაირ-
სახოვანი პროფესიებიდან, რაც კი რამ მი-
სწავლია, ყველაფერი ლიტერატურაში
ტრანსფორმირდა და აკუმულირდა. საბ-
ოლოო ჯამში, მედიცინიდან დაწყებული,
იურისძიეციით დამთავრებული, ყველაფე-
რი პოეზიად იქცა. ზოგადად, თეორეტი-
კოსი ვარ, მედიცინასაც ასე აღვიძეს —
სიკედილ-სიცოცხლის მყიფე ზღვრად,
ადამიანის ცხოვრების საიდუმლოდ. ჰოდა,
ამ როგორ ან? საკა ანთა ავძევა პოზია?

აბა, როგორ ახ სად გიხდა გაექცე წოვზიას? ხომ გვაქვს ადამიანებს პატარ-პატარა ან უფრო დიდი წარმატებები. ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები, მაგრამ ჯორვრების რაღაც

ამ აღფრთოვანების ფაზაშ რომ გაიარა, შეცნობის დრო მოვიდა. შეცნობა კადამიანების გარეშე შეუძლებელია. მეტას დავყენები შეგიტარია: უწინვა — სვეტი



ეტაპზე სამყოფი. ჩემთვის სულერთია და ამას გულწრფელად ვამბობ. როგორც კი რაღაცას ვიპოვი — სალექსო ფორმა იქნება ეს თუ ზუსტი სიტყვა, რომელიც ტექსტს უნდა მოარგო, როგორც კი ამ ფორმაში თავისუფლად ცურვას ვისწავლი, აღარ მაინტერესებს. იოლად ვივიწყებ. საკუთარი თავი — ესაა ჩემი ძიების მთავარი პერსონაჟი. საკუთარ თავი, რომელსაც არ ვიცნობ.

ვახო, ჰეიკე, ნატალია. ციურიში — ანა და სულხანი. მონტრიჩე — ბლაიზი, ლუს ბაზელი — ლიკა, ბერნი — მანანა. ფონდ — ყველა, განსაკუთრებით ჩანტალი, ტომასი.

ეს არის ჩემი შვეიცარია. კიდევ ჩემ შვეიცარია ის არის, პარიზის ფესტივალზე ნოემბერში მათი მიწვევით რომ მივდივარ გეგმები, რომელიც აუცილებლად დამაბრუნებს ამ ქვეყანაში.

— დიდი ხანი არ იყავით საქართველო-ში. წერდით უცხოეთში? თუ აგროვებდით საწერს?

— შვეიცარიაში ჩემს მეგობართან, ხელოვნებათმცოდნე სალომე ჭანტურიძე-სთან ერთად კონკრეტული პროექტით ვიყავი. მოულონდნელად იან მიხალსკის ფონდის მწერალთა რეზიდენციის სტიპენდია მოვიპოვეთ და ამიტომ ჩვენს შვეიცარიულ ტურნეს მთლად მოგზაურობასაც ვერ დავრჩქმევ. ჩვენი საკვლევითება XIX-XX საუკუნის ქართველების კვალის ძიება იყო, უმეტესობამ შვეიცარიაში მიიღო განათლება, შემდევ კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაში მონაწილეობდნენ. აქევე, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ბოლო პერიოდში სალომეს დამსახურებით, ამ თემებით დავინტერესდი და ბევრი რამ გავაკეთეთ ერთად. მოკლედ, დოკუმენტური პროზის შექმნის იდეით ნავედით. სალომეს უნდა ეკვლია, მე — დამტერა. ვიყავით „ნითელ ჯვარში“, შენებვის უნივერსიტეტში, ბიბლიოთეკაში, მოვიძიეთ მასალები და საბოლოო ჯამში, ერთი დიდი უკანასიანობის მიზანით. ამ დღის დასასრულად, მოკლედ, შეცნობის ფაზიდან საქართველოში დავბრუნდი. ამიტომ, როცა საუკუთარ თავს ვუსვამ კითხვას, რა არის ჩემი მთვის შვეიცარია, ზუსტი პასუხი არ მაქვთ იქნებ ის ხელოვნური სამოთხე, საოცარ ქალაქები და სოფლები, იუნესკოს ვენახები, ბერნის მთაბანეთის ჩანჩქერები და გერმანიის სეირნობა? იქნებ ქუჩებში ქართველების კვალის ძებნა? ან იქნებ სვეტასთან ქართულ რესტორანში სტუმრობა, ანისთა ერთად ციურიხის ქუჩებში ბილიკიალი?

ესაუბრა თამარ ჰურული

ნაურობა დამემართა. უცემ მხატვრულ
ტექსტის წერა დავიწყე, თანაც ერთის კ
არა — ორის. ასე რომ, ცოტა არ იყოს დაბ
ნეული ჩამოვედი იმ დიდ მოგზაურობის
დან. სალომე, რა თქმა უნდა, თავის საკვლე

ევ თემას გააგრძელებს და ფანტასტიკული წიგნსაც გამოსცემს, მაგრამ მე ჯერ ვე გეტყვი, რას ვიზამ. ურთიულესი თემა და პერიოდი მაქვს არჩეული და ამ ყველაფრის მხატვრულ ქსოვილში მოქცევა არ ვიცა როგორ გამომივა. საინტერესო პროცესებია, ახალიც, ცოტა უცნაურიც. ეს არის რაზეც ახლა ვმუშაობ. დიდი და რთული გზა მაქვს გასავლელი — ბევრს ვყითხულობ, ვფიქრობ, ვაანალიზებ, ვასაწყობებ დოკტრის ვწერ.

— მგონია, რომ შთაბეჭდილებები
ადამიანი ხართ, შვეიცარიაზე რას იტე-
ვით?
— იქ ყოვნის თოროვასა და აქმას. |

— იქ ყოფილი დოკუმენტი და ასეთი ცალი არ იყო, სუბ
მეფიქერება, რა მომცა ამ ქვეყანამ? თა
ვიდან იყო აღფრთვისანების ფაზა, აი, ისე
თი, ცოტა ჯადოსნური რომ გერმენება ყვე
ლაფერი და თავადაც არომანტიზმებს, ეიდე
უფრო ზღაპრულად აღიქვამ. ისე, მეტ
ზღაპრული რაღა უნდა ყოფილიყო: ცხო
ვრობდა დაცულ ტერიტორიაზე, ეზოში ირმე
ბი დარბიან, გვერდით, იქვე უზარმაზარ
ბიბლიოთეკა და უამრავი სამუშაო სივრ
ცეა, საჭმელი შენ არ გეკითხება და სასმე
ლი, არაფერი ყოფითი არ განუხებს, ძალია
თუ გამოიგონებ რამე პრობლემას და ა
ყველაფერში, პარალელურად, სტიპენდია
გიხდიან. „ალბათ ასეთია სამოთხე“ — ვ
ფიქრე მაშინ. ახლა ვხვდები, რომ ეს ხე
ლოვნური სამოთხეა, ხელოვნური, მაგრა
ძალიან საჭირო.

ამ აღფრთოვანების ფაზაშ რომ გაიარა, შეცნობის დრო მოვიდა. შეცნობა კადა მიანების გარეშე შეუძლებელია. მეტას დაგვავი შევიჯარია: უწინვა — სვეტი

ପାତ୍ର ନାମିକଣ୍ଡିଲି

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

დოკუმენტური რომანის ჩანაფიქრი ხუთ წიგნად



ვახტანგ ლამპაშიძე თავის პარიზულ კლინიკაში

გაგრძელება

ცოდტა არ იყოს, შეცდები კაცი, როცა წარმოიდგენ, როგორ ტეპილად საუბრობენ ახალ მთვარის შესახებ პარიზული რესტორნის ტერასის ქვის მოაჯირზე დაყრდნობილი კრემლის ერთ-ერთი ძლევამოსილი ბინადარი და გიორგი ნიკოლაძის ისევ ლტოლვილად ქცეული ქერივი, მაგრამ, როგორც ჩანს, სე ლა ვი, როგორც ფრანგები იტყვიან. ვინ იცის, იქნებ უორუეტა ღამბაშიძის არქივში აბელ ენუქიძის მინერილი წერილებიც აღმოჩნდეს. ვინძლონ ნინო სტიუარტი დაგვეხმაროს მათ მოძებნაში.

ამ ამბებიდან სამი წელიც არ იყო გასული, რომ აბელ ენუქიძე შერისხეს, ჩამოაქვეითეს და ლენინის ორდენის პირველი კავალერი კავკასიის კურორტების სამართლელის უფროსად დანიშნეს. სხვათა შორის, ემიგრაციაში წასვლამდე ეს თანამდებობა უორუეტას მამას ეკავა.

ცხოვრებაში და სამჯერ ზედიზედ აირჩიეს თავმჯდომარედ პარიზის ქართული სათვისტომოში, რომელსაც მთელი 20 წელი ხელმძღვანელობდა. ვახტანგის უმცროსი ძმა, დავითი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო დიდ ბრიტანეთში.

ვახტანგ აღმაშიძე მ ურნაოლობა ქა-

ვახტანგ ლამბაშიძე ბავშვთა პირველი
ქართველი ექიმი იყო. მამამისი, გაბრიელ
ეპისკოპოსის მონაფე დავით ლამბაშიძე,
რომელიც „დიდი დეკანოზის“ სახელით
იყო ცნობილი, მრავალი წლის განმავლო-
ბაში გამოსცემდა და რედაქტორობდა რე-
ლიგიურ ჟურნალ „მწყემს“. 1904 წელს
მამა-შვილმა დაარსა ცნობილი სანატო-
რიუმი პატარა ცემში, რომელმაც მალე გა-
ითქვა სახელი და რომელიც ბოლშევიკებ-
მა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჩამო-
ართვეს. ვახტანგ ლამბაშიძე ჯერ კიდევ ახ-
ალიაზროვნებაში დაინტერისოს მაშინ ას-

Digitized by srujanika@gmail.com



**ვახტანგ ლამბაშიძე და მისი სანატორიუმი
(მედეა ლამბაშიძის ალბომილან)**

କୁମା ବାହୁପଦିତାଙ୍କ.



საადი შირაზელი

გუსტავი და სამარა

გამოჩენდა ერთი მოგზაური ომანის ზღვიდან, რომელიც ზღვაზე და ხმელეთზე გულდაგულ ვლიდა.

მოევლო რუმელთ, ტაჯიკთა და თურქთა ქვეყანა და გულში სიბრძნის ათინათი შემოყვანა.

ღრმად განეჩერიერა ბევრნაირი წიკიპინო და ენაც უჭრიდა, სათანადო ქცევაც იცოდა.

აზიდულიყო, ვით ბერმუხა მტკიცე და მძლავრი, თუმცა უფოთლოდ, გულს უღრღნიდა ათასი ჯავრი.

ბედმა მრავალგზის ავბედობა შემოაფეთა, კვართიც ქცეოდა ხვატისაგან ნაფლეთ-ნაფლეთად.

ზღვიდან მოადგა იმ სამეფოს, სადაც ზეობდა დიდი მეფე და ამეკიდრებდა მაღალ ზნების.

უფრთხილდებოდა კეთილ სახელს, მართლის მცნობელი, ქვრივ-ობოლთა და უპოვართა ხელამყრობელი.

მგზავრი აპანოს წაიყვანეს მეფის მონება, კარგად განპანეს, დაუმდა ტანიც, გონებაც.

როცა მბრძანებელს წარუდგინეს, მორთული კოხტად, მკერდზე მიიდო ხელები და შეასხა ხოტბა.

მეფის დარბაზებს მიეახლა სათონი იერით: გფარავდეს მარად ზეციერი, ყოვლადმლიერი.

შენგან ტანჯული კაციშვილი არ შემხვედრია, ამ სამეფოში ნეტარება ხალხის ხვედრია.

მეფე თავისი სახელმწიფოს არის მშვენება, სხვათა ტანჯვა და დამცირება მას არ ენება.

აქ მთვრალსაც კი არ გადავყირვარ, თუნდაც ფარულად, სამიკიტნო და სამორინე ამოგმანულა.

აფრქვია სიტყვის მარგალიტი დაუზოგავად, ქება-დიდებით მბრძანებელსაც შევბა მოჰგვარა.

და ეს ყარიბი მოენონა ხელმწიფეს დიდად, იხმო, წყალობა გაუმრავლა იმავე დღიდან.

უბოძა იქრო და საუნჯე აღურაცხელი და გამოკითხა მოდგმისა და მისი სახელი.

მააც მიუგო გამოწლილვით, მეფეთა-მეფეს დაუახლოვდა, ვით რჩეული, ვითარცა სეჭე.

ხელმწიფეს სურდა სასახლეში მისთვის ემზირა და გადაწყვიტა, დაენიშნა იგი ვეზირად.

თუმც გაიფიქრა: სჯობს ეს საქმე აღსრულდეს ნელა, რომ ჩემს განზრახვას არ დასცინოს დარბაზში ყველამ.

კარგად გამოვცდი (ჯერ წინდანინ შეცნობა მიჭირს) და ამაღლდება საკუთარი ჭკუით და ნიჭით.

თუ ვინმე ხამი დიდ საქმეებს შეჭიდება, თავად ინანებს, ვერ მოიხვეჭს ამით დიდებას.

თუ ყადის სწორი განაჩენი გამოაქვს, გაქნილს, რად უნდა შერცხეს ჩალმოსანთა უშქარი ამქრის?

სანამ მშვიდიდ გაქვს მოზიდული, უმზირე ჯილდას, და არა მერე, როცა ისარს გატყორცნი მშვიდად.

თვით იოსებმა¹ დიდი შრომით წლები ათენა, რომ ქცეულიყო ხალხის თვალში ძეირფას მმართველად.

სანამ დიდი დრო არ ჩაივლის, დაღად რომ გვაზის, ვერენი ჩასწერება კაცის ზნეს და დაფარულ საზრის.

მეფემ განჭვრიტა იმ უცნობის ჭკუა-უნარი, აღმოჩენდა შართლაც ზნეფაქიზი, ბრძანდმოუბარი.

კეთილი ზნის და გონებითაც განმსჯელი ნათლად, ყადრი უწყოდა ქვეყანაზე მან კაცურ კაცთა.

და დიდაცად და ჭკუადინჯად შეიცნო როცა, მეფეც ადგა და ვეზირობა გადაულოცა.

გამოამჟღავნა საქმის აღლო და დიდი ცოდნა, მისგან არავის არაფერი სწყენია ოდნავ.

მთელი სამეფო დაემონა, როგორც წესია, არც ერთ სულიერს ურგისგან არ დაუკვენესია.

ენა შეუკრა ავმოუბარს უსაშველოდ და მისი ბაგისგან ავი სიტყვა არვის სმენდა.

ხოლო მოშურნებ² ვერ მიაგნო მარცვალს დალატის, შეიცახა ხორბალივით, ძალისძალათი.

ქვეყანას სხივი დაეფინა მისი გულიდან, ხოლო ძეელ ვეზირს კაეშანი წამოუვლიდა.

თუმცა ბრძენ ვეზირს ვერ უპოვა რამე საკბილო, რითაც შეეძლო ეხიმანელა საქმე საკნინ.

ბოროტება და სიკეთე ჰეგავ ჯინჭველს და ლაგანს, სად შეუძლია ჯინჭველს ლაგნის გახვრეტა, აბა!

ხელმწიფეს ორი მონა ჰეგავდა — მზის ათინათი, რორი მორჩილი და სამეფო კარის ზინათი.

ფერის დარნი, იყვნენ გულის შფოთი და ურქოლა, ვით მზე და მთვარეს არ გააჩნდათ მესამე ტოლად.

ერთურთს მოჰგავდნენ (სიხარულის კრავდნენ ირაოს) თითქოს სარკეში ერთის სახე არეკლილა.

ბრძენმა ვეზირმა, როცა სიტყვის ფარდაგებს შლიდა, ბზა-მობზინვარე ის ორივე მოხიბლა დიდად.

როცა იხილეს მისი ზნე და ქველი ბუნება, ირივ მათგანმა იწყო მასთან შეერთგულება.

მასაც აღეძრა კაცებრივი ვნება, ცხადია, არა ისეთი, განუსჯელი რასაც სჩადან.

მის წინამორბედს ამ ამბისთვის ყური მოეკრა, რომ მათი მზერით სურდა გულის უინი მოეკრა.

ძალაუფლების თუ გნადია შენარჩუნება, ნუდარ აჲყვები უწყერულთა მიმართ ცდუნებას.

თუ მაგ სურვილში სისუტაკე არა გაქვს მიზნად, მყის განიშორე, რადგანაც დიდ სიავეს გიზამს.

ქველ ვეზირს ესმა ეს ამბავი, ყოვლად ნაძრახი, ხელმწიფეს ენა მიუტანა ავი განზრახვით:

მე არც კი ვიცონობ ამ კაცს, მაგრამ ერთი ცხადია: მშვიდი ცხოვრება ამ მინაზე არა სწადია.

სინდის-ნამუსა არ მოუვა ყარიბის აზრადაც, რადგან ამ ქვეყნის სიტებობამ როდი აღზარდა.

შევიტყვე თურმე თქვენს მონებთან იღვრება თაფლად, ვნების აყოლით მთელ სამეფოს გაუთხრის საფლავს.

არ შეიძლება დაყვავება, სიტყვები მტკბარი, რადგანაც ლაფში ამოსვარა სამეფო კარი.

მეფის წყალობის დავიწყება განა შემფერის, თვალი დაგვუჭო და მივჩქმალო ცოდვის ელფერი?!

ასეთი საქმის წარმოსახვით განსჯა რთულია, სანამ არ მივხვდი, არაფერი მითქვამს სრულიად.

ჩემს ერთ-ერთ მსახურს დაუნახავს თავისი თვალით, ჩაპუტებოდა თურმე აღუშს, ვნებისგან მთვრალი.

მე ჩემი ვთქვი და ახლა უკვე მეფის ჯერია, თავად განსაჯე ვინ ოხერი შემოგვერია.

შავი ფერებით დაუხატა მეფეს ყოველი, ავკაცთან ღმერთი ნუმც იქნება მადლისმთოველი.

ავისმზრახველი როცა პპოვებს მცირე საკბილოს, ცეცხლის მისართვას დიდაციისთვის როდი თაკილობს.

მცირე წინწალით აინთება ცეცხლის ენები, რომელიც ხმელ ხეს დანაცრავების შეუსვენებლივ.

მეფე გაცეცხლდა, გული მისცა წვასა და ვარამს, ადუღდა ცეცხლზე შემოდგმული თანგირის დარად.

მისი რისხევის ხელს მყისვე დაღვრა სწყუროდა სისხლის, თუმცა მას თმენის ხელიც ჰქონდა, არათუ რისხვის.

არ იცეცვიან ამნაირად ბრძენი მეფენი, წყალობას რისხვა მოვადები, როდი შემფერის.

შენი გაზრდილის ცოდვას ნუდარ დაიდებ კისრად, ვისაც ისარი თავად მიეც, ნუ ესვრი ისარს.

იმას ნუ გაზრდი მოწყალებით და ძლიერ ლალად, უზომო რისხევით ვისი სისხლის გნადია დაღვრაც.

მისი სარისტა, მარიფათი განჭვრიტე კარგად, მიიღე კარზე, თუკი თავის საქმეში ვარგა.

ახლა კი, სანამ მის ცოდვაში არ დარწმუნდები, მტრის სიტყვის გამო არ დაადო მძმე ხუნდები.

ხელმწიფები გულში ჩაიკირა ეს ხვაშიადი, რადგან სმენოდა ბრძენკაცების სიტყვა დიადი:

სწავლულო, გული საიდუმლოს არის დილეგი, ველარ შებორკავ, თუ ამოთქვი დანაცრალი.

თვალი ადევნა ახალ ვეზირს მეფემ

განსჯის უნარი შერჩა, თვალი აღაპყრა ზემოთ, მშვიდად მიმართა ვეზირს: ჰორი, კეთილ ჩემო.

მეგონე ბრძენი, მოაზროვნე, გონიო მისანი, გაგანდე სრულად საიდუმლო სასახლისანი.

მეგონა, შენში სინმინდე და სიბრძნე დავანდა, არ ჩამითვლიხარ უპირისნყლოდ, ანდა ნამარდად.

ამ აღზევებით შენი გული დაუმცხრალია, შენ რა ცოდვა გაქვს, ეს ხომ თავად ჩემი ბრალია.

რომ ქვეყნის მართვა ავეკაცს ვანდე თამაშ-თამაშით, შემოვწივი მოღალატე ჰარამხანაში.

თავი ასწია მანაც, ჭეუა-გონებით სავსემ, და მრავალნაცად მეფეს მშვიდად მიუგო ასე:

როცა არ მიწევს ცოდვინი კვართის ტარება, ავისმზრახველთა შიში როდი მომეკარება.

არც მიფიქრია მსგავსი რამე, ღმერთმანი, ოდნავ, და არც კი ვუწყი ვისი ენით გაჭირიჭირდა.

მეფემ მიუგოს: რაც გითხარი უზვევი გზნებით, გვიმეორებენ ამ ყველაფერს შენივე მტრები.

ეს ყოველივე ჩამიკაცლა ძველმა ვეზირმა, ან შენც მითხარი რა ცოდვები ჩამოგეზინა.

ვეზირმა თითო ჩამოისვა ტუჩზე ნელიად, თქვა: აბა, მისგან გასაკვირი არაფერია.

შურით იღვსება, დღენიადაგ უნდა მემდუროს, და ჩემს სახელსაც არ ახსენებს უსაყვედუროდ.

იმავ წუთიდან მივიჩნიე მოსისხლე დუშმად, როს ქვეშევრდომად დამინიშნე, მზირალი ქუშად.

როცა სულთანმა მასზე მეტი მომცა დიდება, წუთუ არ იცის, რომ მოსისხლედ მომეკიდება?

არ ვეხატები არასოდეს ძველ ვეზირს გულზე, ჩემს ზეობაში ის ხომ თავის დაცემას უმზერს.

გიამბობ არაქს (სანაც გულსაც რისხვა მონისლავს) თუ ყურს მიაპყრობ ამ ნაუბარს შენი მონისას.

სად წავიკითხე აღარ მახსოვს. მისმინე ფხიზლად: ერთ კაცს ოდესალაც თვით იბლისი³ სწვევია სიზმრად.

ტანაშოლტილი ნაძის მსგავსი, მზერით — ჰურია⁴, იტყოდი, ეშთით სამოთხიდან მონაჟურია.

ჰკითხა: შენა ხარ? მარად შენი ყურება მინდა, ანგელოზიც კი ვერ იქნება ასეთი წმინდა.

მთვარის სადარო, სინარნარეს სხივებად აპნევ, მაშ, შენს შესახებ რად ჩიხახევნ ავყია ზღაპრებს?

რატომ დაგხატეს დარბაზებზე შაპის სასახლის, სადაც პირაშემულს სილამაზის არ გაქვს ნასახი.

როცა იმინა, მოემატა წვა და ზაფრანი, ღრიალი მორთო უკეთურმა, გულის მხაფრავი:

სწორედ ესა ვარ, რასაც მხედავ, სახით ეშხიანს, თუმცა კალამი სახატავი მტრების ხელშია.

კარგი სახელი მეც მაქვს, მაგრამ, მიზეზთა გამო, მტერს არ დასცდება ჩემზე სიტყვა, კარგი და ამო.

ძველ ვეზირს ჩრდილავს ამ ხალათის სარჩულ-საპირე, მის ვერაგობას სჯობს ფარსანგზე გავუნაპირდე.

სიმართლე გითხა: შაპის შიში არ მაქვს სრულიად, უცოდველი ხომ საუბრისას გაბედულია.

იმას ზარავდეს მუჰამადის სასტიკი რისხვა, ვისი სასწორიც ხალს წინაში დააპლებს მისხალ.

როს უთვალებოდ მართალ სიტყვას ვამბობ მართ იდენ,

ნაკლის მჩხერებილთა შიში რატომ უნდა მაკრთობდეს?

მეფე განცვიფრდა და სიტყვები აღმოხდა მქისე, თვითმცყრობელობის ხელი რისხვით აღმართა მყისვე:

თუნდ დამნაშავე იყოს ლალუკ-ლაქუც-ლაქარდა, ვერ იტყვი, ამით თითქოს მისი ბრალი განქარდა.

მტრის სიტყვით არვინ გამისჯია, არც ვსჯიდი უნინ, მე თვითონ ვნახე და სიმართლე კარგადაც ვუწყი.

სამეფო კარზე ამოდენა ხალხი ირევა, მხოლოდ მათ უმზერ, მათ თვლი გულის ნანადირევად.

ვეზირმა უთხრა და მოკაზმა სიტყვის ამალა: მართალსა ბრძანებ და სიმართლეს არც მე დავმალავ.

თუ ყურს მომაპყრობ, ნათლად გეტყვი მართლის მძებნელი, სამეფო შენი განმტკიცდეს და იყავ დღეგრძელი.

წუთუ არასდროს დაგინახავს, მორჭმულო დიდად, ხარბი თვალებით ღარიბი რომ შეჰყურებს მდიდარს.

გამიფერმკრთალდა სიქაბუკის თლილი ამარტი, დასრულდა უში გართიბის და ბაღში ნავარდის.

მე მათი ცეკერით წამრთმევია თმენის უნარი, ორივე არის სილამაზით გაუხუნარი.

მეც მიელავდა სახე ადრე, ლხენას ჩევეული, და ბროლ-ფიქალად ელვარებდა ჩემი სხეული.

ახლა ის დროა, ღონიშებილი ვესოვდე სუდარას, თმა გამითეთრდა, გამიცუდდა ყველა მუდარა.

მეც მამშვენებდა შავი თმა და ჰანგი დაირის, და ტანს მიმკობდა სამოსელი ნაირნაირი.

პირში ორ წყებად მიელავდა თლილი მანგები, როგორც კედელი ვერცხლნაჭედი, მკიდრად ნაგები.

დღეს კი, პატონო, თავად შენ ხარ ამის მხედველი, ჩამოცვენილა, როგორც ციხის ძველი კედელი.

წუ გაიკვირვებ, თუ მათ ვუმზერ ხარბი თვალებით, ამით ვიგონებ გარდასულ დროს განაწვალები.

გამომეცალა იმ დიდებულ დღეთა ამალა, და, აპა, ეს დღეც უუნებში სახეს ჩამალავს.

ამგვარად არსის მარგალიტი ბრძენმა გახერიტა, უკეთეს პასუხს ვერ გასცემდა ვერვინ ახლიდან.

მეფემ ვეზირებს გადახედა, სიტყვა გაუბა: ამ კაცზე უკეთ ვერვინ შეძლებს დღეს აქ საუბარს.

მას აქვს უფლება გულისინორის სახებას ჭრებდეს, ვისაც ბოდიშის მოხდაც ძალუძს ყველაფრის შემდეგ.

გულმშვიდად რომ არ განმესაჯა, მშვიდი გონებით, მტრის სიტყვის გამო მას დავსჯიდი დაუყოვნებლივ.

ელვისებურად ვინც იშიშვლებს ბულდიდან მახვილს, დარდისგან თითებს დაიჭამს და იქნება ახი.

ანგარის სიტყვებს ყურს ნუ უგდებ დღისით და მზისით, რომ სანაებლად არ გაგიხდეს მოსმენა მისი.

ბრძენი ვეზირი აღაზევა მეფემ მაშინვე, ავისებული კი გადაპყიდა რისხვას საშინელს.

ვეზირს მიენდო, განიშორა ავისმზრახელი, მთელ ქვეყანაში ზეამაღლდა მისი სახელი.

მართლად მსაჯველი, ქეეჭერდომთა მფარველი ყოვლად ბოლოს წავიდა, თუმც დატოვა კეთილი სოვენ.

მსგავსი მეფენი ზნეეკეთილნი, არა — ავები, ძალუფლების ბურთს იჯერენ რწმენის მკლავით.

მოისაკლისებს მსგავს მეფეებს ჩვენი დროება და მხოლოდ დიდი აბუ ბაქრი⁵ გვესათნოება.

სამოთხის ხე ხარ, ხელმიფერი, ნაყოფით სავსე, რომელიც უგრძეს ჩრდილებს აფენს მისავალ გზაზე.

განგებას ვთხოვდი, დაეხედა მადლით ზემოდან და თავზე პომას⁶ მშინდა ჩრდილი გადამფენიდა.

გონებას მითხრა: შენ პომას ვინ მოგცა ბედი, თუ შევებას ექებ, აბუ ბაქრის ჩეროში შედი.

უფალო, მშინდა ნება შენი მადლის მჩენია და აბუ ბაქრის ჩრდილი ქვეყნად განგიფენია.

ღმერთო, ისმინე მონის თხოვნა, ლექსებად შლილი, და განადიდე ქვეყანაზე ხელმწიფის ჩრდილი.

* * *

თუკი არ გინდა გულს დაგანვეს დარდი მთლიანად, გულგასენილებს მოეპყარი აღერსიანად.

ჩაგრულთა კვენესა, მღელვარება, ადრე თუ გვიან, ტახტსაც შეარყევს, სახელმწიფოს მოუტანს ზიანს.

შენ მშვიდად გდინავს შუადღისას, წყალობა განვიმს, ყარიბს კი ლამის ხვატისაგან დასწვია ლანგი.

ღმერთი დაიცავს, მარად სწორი გზებით წარმართავს მას, ვინც მეფისგან ვერ იპოვის ქვეყნად სამართალს.

* * *

თუ მეფეს სძინავს, როს ხალხს მტერი მახვილს ატაკებს, არ ელისებათ მშვიდი ძილი ღარიბ-ღატაკებს.

ხოლო თუ

ეზრა პაულის ერთი შეხედვითა და ნაკითხვით გასაგები, მაგრამ მაინც შეფარული ფრაზა: „ლექსი არის ახალი ამბავი, რომელიც მუდამ ახალ ამბად ჩრება,“ თითქოს თამარ ჟღერნტის სადებიუტო პოეტური კრებულის — „ნამისყოფის“ ეპიგრაფად დაეწეროს. ეს არის ამბის პოეზია, ამბის, თავგადასავლის ლირიკა. ჩვენს ლიტერატურაში ამბავი ეპოსში მოიყოლება, მოითხრობა, ლირიკაში ამბით მოგვრილი განცდა, გრძნობა, ემოცია, მაგრამ არა ამბავი. თანამედროვე პოეტები ამ რეალობას ცვლიან, ნარატიულისკენ იხრებიან, ასეთი პოეტია თამარ ჟღერნტიც: ის ამბის მთხოვნელია, მისი პოეზიად, ლირიკად გარდამშენელი.

ერთ-ერთ ყველაზე პოეტურ ამბავში გვიმუდავნებს, რომ პირველი ლექსი უსათ-უოდ ქალმა დანერა, ქმრის სიბრაზის, ძალადობის, „დალენწილი საგნების“ საპასუხოდ, დიდანანს ნაზიდი სიფაქიზის, საიდუმლოს, სიბრძნისა და სიხარულის შესანახად. პოეზია, როგორც თავისიუფლება, როგორც პასუხი ძალმომრეობაზე, უცაბედი ბრაზის კონტრასტი — კრებულის ანონსია, მისი მთავარი იდეის გაცხადება. ისევე როგორც პირველივე ლექსში გამჟღავნებული საიდუმლო — „პოეზია გულზიდვაა, გადაყლაბული მზე რომ ყელმი მოგებჯინება და ამონთხევას გაიძულებს“. ოჯახური დრამის არქეტიპიც დაიხატა — ერთხელაც კაცი შინ უგუნწებოდ მოვიდა, ხელცარიელი, თვალი ჰყიდა ცოლის მიზე ტყიდან მოტანილ მძივად ასხმულ მარცვლებს, ნიჟარებს, ფერად ბუმბულებს, კენჭის ხუცულს, რომელიც უსარგებლო, ზედმეტად... ლექსად უნდა გარდათქვა და შეინახო. თამარ ულენტი მხატვარია, ვიზიონისტი, ისე ჰყევბა, თითქოს თავადაც იყო იქ, უფრო სწორად, თავად იყო/არის ცოლი.

რიოს — კისეადე,
ლონდონს ჰაშვი,
ტოკიოს — იხვი.
ჩემს ამჟამინდელ სამყოფელს კი —
მავნე თოლია.

მარინე ტურავა

ყელუი მოპჯანილი გზე

„ნამისყოფის“ აეტორისათვის ბუნებრივია წმინდა წერილის სრულიად მინიერი, ყალბი პათეტიკისგან დაცლილი, ალუზიები. ლექსში „ღვთისმშობლისადმი“ კანას ქორწილი, იესოს პირველი მინიერი სასწაულის ინტერპრეტაცია, უპირველესად, ამ ამბის მთავარ ფიგურანტად ღვთისმშობლის ნარმოჩენით გაკვირვებს. მეინახეთა შორის პირველი ის ამჩნევს, რომ ღვინო არ არის, სტუმრები სასამლის გარეშე რჩებიან. „შეილის სიყოჩალის ჩვენების“ გამო, რაც „მუჯამ ჩვევაა დედათა“, თუ ზეციდან წმინდა ნიშნის საპასუხოდ, რომ სწორედ ეს დღე იყო დასაბამი შეილის სასწაულებისა, არ ჩემდება. თუმცა პოეტის მზერასულ სხვა რამეს ხედავს, ღვთისმშობლის სიტყვები „ღვინონა არა აქუს“, ყველა დაჩაგრული ქალის ნუგებისცემაა, რომ დედაკაცის ხმას ოდესმე ქვეყანაც შეისმენს და ყველა ტკივილს შაშინ ეშველება, როცა მისი „მხილველი“ მოინახება. თამარ ულენტს ერთი ამბის სხვადასხვა რაკურსით წარმოჩნდება ეადვილება და ამ რაკურსთა ორიგინალობაც. იმაგინაციურ-წარმოსახვით მასთან არასდროს არ არის არც ბუნდოვანი, არც ხელოვნური.

კრებულში არის არაერთი ამბავი ბავშვობიდან, მისი ნაწილია ქალაქის ცენტრში უადგილოდ ამოსული ოთხი ხე, კარალიოკი, ნარიჯისფერი აფეთქება, რომელიც სსოვნას ინახავს, ადამიანი კი სწორედ ეს სსოვნაა („ზეზეკულტურის ქუჩაზე“). მას შემდეგ ყოველ შემოდგომაზე, წვიმების სეზონში, თვალის მოტყუებისას, პოეტი/ლირიკული გმირი ხედავს, როგორ უჭირავს თავისი ხელით მოკრეფილი კარალოკი. ქვეცნობიერში ჩარჩენილი ეს ხატივიზითი აქცევს ამ ამბავს ლექსად. ბევრ ამბავს ლექსიკა ანიჭებს პოეტურობას, სიტყვა, რომელიც იმდენად არქაულია, სიძველის ან ისევ გაცოცხლების სურნელი დაკრავს (მაგალითად, ლექსები „სუიდვა“, „ნათლისმცემელი“ მთლიანად სიტყვის თამაშზეა აგებული). უყვარს თამარ ჟლენტს სიტყვის ძიება, ერთგვარი ნადირობა მასზე, მისი მოხელთება, მოთვინიერება. ასე მგონია, არაერთი ასეთი სიტყვა გამხდარა მისი ინსპირაციის წყარო. ლექსი „ლივერპულელი თოლიების გამო“ სწორედ ასეთია. ჩემთვის თოლიების ერთადერე

მარინე ტურავა

ყელმი მოგვანილი ეზე

მთავარ სათქმელთან პოეტურად, მოულოდნელად მისვლა, ამბის შემოტრიალება, „ნამისყოფის“ ორგანული ნაწილია, თუმცა პირიქითაც ხდება. უსათაურო ლექსიში: „ჩემმა ოთახის ყვავილმა შემარცხევინა“ სწორედ ამბის პოეტურობაა მთავარიცა და ღირებულიც.

პირველი პოეტური თორმელობა, რომელიც დალიან უშეუალო, გულწრფელი, ბუნებრივი აღქმას: სამშობლო დედაშენი არ არის, რომ სახლში სადილი დაგახვედროს, უფროსი ძმა არ არის, შენი თავი არ დააჩვერინოს, არ არის შვილი, გაუბრაზდე და გაგიგონოს, არ არის მეგობარი, სატკივარს მიგიხვდეს და განუეშოს, არ არის მოძღვარი, ალარება რომ ჩაბარო

ଦାଲୀଳିନ ଜୁମ୍ବାଲାଙ୍ଗ, ଗୁଣ୍ଡର୍ଜେଲି, କୁଞ୍ଜବର୍ତ୍ତିକା
ଅଳ୍ପିମା: ସାମଶବ୍ଦଲାଙ୍ଗ ଉଦ୍‌ଦାଶେବ୍ରି ଏହି ଏହିକି, ରନ୍ଧ
ସାଖଳଶି ସାଫିଲାଙ୍ଗ ଡାଗାବ୍ୟେଦରନ୍ଧା, ଉପରିନ୍ଦା
ମଦ୍ଦ ଏହି ଏହିକି, ଶେବ୍ରି ତାଙ୍କୁ ଏହି ଏହି ଏହିକିରିନ୍ଦା,
ଏହି ଏହିକି ଶ୍ଵାଲିଙ୍ଗ, ଗୁଣ୍ଡରାଥିଦ୍ଵାରା ଉପରିନ୍ଦା
ନ୍ଦା, ଏହି ଏହିକି ମେଘବନ୍ଦାରି, ସାତ୍ରିକିଗାରି ମିଗିଥେ
ବ୍ୟକ୍ତିର ଉପରିନ୍ଦା ଏହି ଏହି ଏହିକିରିନ୍ଦା, ଏହି ଏହିକି
ଏହିକିରିନ୍ଦା ଏହିକିରିନ୍ଦା ଏହିକିରିନ୍ଦା ଏହିକିରିନ୍ଦା.

სამშობლო შენ ხარ —
რასაც ფიქრობ,
სამშობლო შენ ხარ —
რასაც დარდობ,
რასაც სჩადი და
რასაც გეგმავ...
რასაც ცოცხლობ და
რადაც კვდები,
შენ ხარ სამშობლო.

ამაზე პერსონალური განცდა წარმოუდებელია. უმძიმესი ლექსია, „ომს ქალის სახე“ აქვთ, მაგრამ უზუსტესი. თამარ უდებტი მრავალნაირი ჰიპოსტატისთვის. დება თავის სადებიუტო კრებულში: შვილი, დედა, სატრიფო, ცოლი, მოქალაქე, ყველა როლში გულწრფელია, ოდნავ გაპრანჭული, არტისტული, პერფექციონისტმისაკენ მიდრეკილი, მაგრამ ნამდვილი. მიუხედავად იმისა, რომ აქ ყველაფერი პოეტის „მეს“ გარშემო ტრიალებს, მისი ქვეცნობიერიდან, განცდებიდან ამოიზრდება, თამარ უდებტი მაინც სხვისი ტკივილის, სიხარულის გამზიარებელ/მოდარაჯეა. ამიტომაც დაარქვა პოეტურ კრებულს „ნამისყოფა“, იმ ბედნიერი წამს გამო, როცა ადამიანებს უსიტყვილ, თვალის ერთი შევლებით, ნაშმი ესმით ერთმანეთის. მთავარ ლექსშიც, რომლის სახელიც დაარქვა კრებულს, სხვის ტყავში შემძერალი, ყველა თვითმკვლელის, ფანჯრიდან გადამხტრის, წყალში გადავარდნილის, ყულფში თავისგამყრელის... სახითა და სახელით გვესაუბრება.

„ნამისყოფაშიც“ აქტუალურია კითხვა
კონვენციური ლექსი თუ ვერლიბდო? კა-
ნონიკური ლექსი აქ წმინდა სახით ნაკლე-
ბად გვხვდება, მაგრამ არის ვერლიბდო,
თავისუფალი ლექსი კონვენციური ჩანა-
რთებით, ხმირად ძალიან საინტერესო რი-
თმული წყვილებით, რომელებიც აღიტერა-
ციას, თანხმოვანთა უღერადიბსა, კეთო-
ლებმოვანებას ემყარება. ლექსი არასდროს
არ კარგავს მუსიკას, რიტმს. ყველაზე
მნიშვნელოვანი კითხვა ისიცაა — რაზე
დგას თამარ ჟლენტის პოეზია, რას ემყარე-
ბა?! ეს ვერ იქნება ჩემი მიერ უკეც ჩამოთვლ-
ილი ვერც ერთი ნიშანი ერთად, მით უფრო,
ცალ-ცალკე. თანამედროვე პოეზიაში სულ
უფრო დეფიციტური ხდება ლექსი-
მეტაფორა, თითქოს ბოლომდე ამოუხსე-
ნელად, გაუშიფრავად, მეტაფორა ჩვენ
თვალინინ ქრება. ის არც „ნამისყოფაშია“
შეუცვლელია, რამდენიმე ლექსი უმთავრე-
სად საშუალებად სიმილები ჩატვალე, ერ-
თგავარი მხატვრული ენა, რომელსაც პო-
ეტები სათქმელის ადვილად გადმოსაცე-
მად, გასამარტივებლად იყენებენ, მაგრამ
თამარ ჟლენტის ლექსები თავად არის სიმი-
ლე, მათში ნაკლებად არის ცალკე ხატი,
ცალკე სიმილე, იშვიათი გამონაკლისის
გარდა, ლექსები თავად ქმნიან თხრობით
ხატს. მთავარი თამარ ჟლენტისთვის ენის
სტიქიაა, მისგან გამოდის, პოეტის ღრმა
დრამატიზმიც გარეგნული სისადავით,
ენით მარტივდება. სწორედ ეს აკავშირებს
ქართულ წიაღთან, ოორუე ვეროპულ პოე-
ტურ განწყობებს ღრმად და საფუძვლი-
ანად რომ იცნობს, სრულიად ნათელია. გა-
მოცდილება ამ განწყობების კვალსაც წაშ-
ლის.

ნამის მოხელთების, უკვდავყოფის გამო
იმაჟისტებსაც ჰყავს, მაგრამ მათგან გან-
სხვავებით, უჭირს სიტყვის ეკონომიურად,
ლაკონიურად და გამოყენება, ნერტილის დას-
მა. მე, როგორც მკითხველს, ლირიკაში
დროზე დასმული წერტილი მირჩევნია,
თუმცა ამბავი მოხელ დრამატურგიას გულ-
ისხმობს, რასაც პატარა ლექსში ვერ ჩაატ-
ევ, ვერ დაასრულებ. სწორედ ამიტომ,
მგონია, თამარმა აუცილებლად უნდა მოს-
ინჯოს კალამი პროზაში, მასში პროზაიკო-
სიც თვლებს.



ლიტერატურული კანკო

საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მთავრობის სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
უურნალისტი თამარ უურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

